
2020
წყლის მცველები
დაზოგე წყალი,
გადაარჩინე სიცოცხლე
1
პირველი
გამოშვება
www.kura-river.org



კონტრიბუტორები: მერი მეთიუსი, სონა გულიევა, დადაშ მამედოვი, ულვია ახუნდოვა, საბინა ნაჯაფოვა

მხატვრები: ესმირა ასლანოვა, აიშა მაჰარამოვა

დისკლამაცია: წინამდებარე პუბლიკაცია UNDP-GEF მტკვარი II პროექტის გუნდის მოსაზრებას წარმოადგენს და მისი შინაარსი არ გამოხატავს გაერთიანებული ერების, გაეროს განვითარების პროგრამის ან გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პოზიციას.

წინამდებარე ინფორმატიული კომიქსების სერია მომზადდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) პროექტის „წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ხელშეწყობა მდინარე მტკვრის აუზში ტრანსსასაზღვრო შეთანხმებული ქმედებების და ეროვნული გეგმების განხორციელების საშუალებით“ ფარგლებში 2020 წელს. კომიქსების მიზანია ხელი შეუწყოს მდინარე მტკვრის აუზში წყლის რესურსების მდგომარეობის, ადამიანის ქმედებებსა და გარემოს დეგრადაციას შორის კავშირების, მტკვრის აუზზე კლიმატის ცვლილების და კატასტროფების შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას მოსწავლე ახალგაზრდობას შორის, საინტერესო და გასართობი ფორმით. პუბლიკაცია ასევე მოიცავს საინტერესო ფაქტებს წყლის რესურსების და მათთან დაკავშირებული ეკოსისტემების შესახებ და ინფორმაციას ზოგიერთი გარემოსდაცვითი კონცეფციის შესახებ.

# წყლის მცველები



# დაკარგული წყალი,




# დაკარგული სიყვარული



RiiiNG!
YAWN
რომელი საათია?
მაგვიანდება!!



FSHHH~
RING!
RING!
მე მგონი, დღეს კაბას ჩავიცვამ და შენ?
მშვენიერია!
არ ინერვიულო, არ დავაგვიანებ.
FLOOD


!?
რა საშინელებაა!!
ჯერ ეს უნდა მოვწმინდო...
ქეთი!
BAM! BAM!
არაფერი, ბებო! ყველაფერი კარგადაა. გთხოვ, არ შემოხვიდე!
რა მოხდა?!
ქეთი, ისევ დაგავიწყდა წყლის გადაკეტვა?
რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ წყალი უნდა დაზოგო!
წყალია, ბებო, მეტი არაფერი.
ახლა მაგვიანდება, ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ.


ECOLOGY NEWS
წყალი დაზოგეთ, მეგობრებო!
ძალიან მოსაწყენია, არაფერი საინტერესო არ გადის ტელევიზიებში.
RING! RING!
გისმენთ!
გამარჯობა, ქეთი!
გინდა, დღეს საფორტეპიანო მუსიკის კონცერტზე წავიდეთ?
ორი ბილეთი მაქვს.
TICKET
რა თქმა უნდა, მინდა!
კარგი! 5 საათზე გამოგივლი.
ღმერთო ჩემო! მან პაემანი დამინიშნა!
რა უნდა ჩავიცვა?
არა
არა
არა
ოჰ, არა! ჩემი საყვარელი კაბა!!


კაბა სასწრაფოდ უნდა გავრეცხო!
NO WATER
არა!!
ბებო!! სადაა წყალი?
ამას მე მეკითხები? წყალი აღარ დარჩა.
გაგაფრთხილე, რომ წყალი დაგეზოგა.
TICK
TOCK
მეხუმრები? ახლა რა უნდა ვქნა?
ის უკვე აქაა!!
KNOCK!
KNOCK!


ჰმმ, ის აგვიანებს.
გამარჯობა, ქეთი, მე მოვედი. არ თქვა, რომ ჩვენი პაემანი დაგავიწყდა.
გიო, გამარჯობა, არ დამვიწყებია, უბრალოდ, თავს კარგად არ ვგრძნობ და შენთან ვერ წამოვალ. ძალიან ვწუხვარ!
ACHOOO!
არა უშავს. რა დაგემართა? წამალი ხომ არ გჭირდება?
არა, ნუ ღელავ, კარგად ვიქნები.
კარგი, აბა დროებით, მალე გამოკეთდი.
რა უხერხულია, ძალიან კარგი ადამიანია.
ჩემზე სწუხს.
შემდეგი დღე...
ON
OFF
ჭკუა ვისწავლე.
დღეიდან წყალს ყოველთვის დავზოგავ.
END


ქვეყნად
არაფერი
იკარგება


ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენი ქარხანა გამწმენდ ნაგებობას საჭიროებს.
რას გულისხმობ?
POLLUTION
უნდა გითხრათ, რომ ის ნაგავი, რასაც მდინარეში ვყრით, აბინძურებს გარემოს!
STOP


YES!
მომისმინე, სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხები უნდა განვიხილოთ!
მაგრამ...
BOOM!
მაგრამ ესეც ხომ მნიშვნელოვანია!
CASH~
ასეც რომ იყოს, წარმოგიდგენია, ეს რა ეღირება?
!!!
წადი, სამუშაოს დაუბრუნდი!


THUMP! THUMP! THUMP!
იმედი მაქვს, მოვა დღე და გაიგებთ, რასაც ვამბობ...
HELP!
UMMM~
HMMM?~
ჯონი, ნუ ჭამ ამას!


რესტორანში საუკეთესო კერძი შევუკვეთე. შემწვარი სკუმბრია, ბოსტნეულთან ერთად~
ოჰ, გემრიელად ჟღერს!
რა შეუკვეთე, საყვარელო?
ნაყინი მინდა.
თქვენი თევზი ინებეთ, ბატონო~
YUMMY~


როგორია, ძვირფასო?
როგორსაც ველოდი, უგემრიელესია, ძვირფასო. დიდი მადლობა!
ცოტახანში...
გამარჯობა! სასწრაფო მჭირდება! გთხოვთ, სწრაფად გამოიძახეთ!
WIOOOUWIIIOOOUWIOOOU!!
03
WIOOOU!
WIOOOU!
WIIIOOOOU!
HOSPITAL


ექიმო, ეს როგორ მოხდა? ამ რესტორანში ყოველ უქმეზე დავდივართ. ყველაფერი ყოველთვის ახალი აქვთ.
ყველაფერი მარტივია! აგიხსნით.
ვშიშობ, რომ იმ თევზს, რაც ჭამეთ, ყველა ნაგავი ჰქონდა ნაჭამი, რასაც ადამიანები მდინარეში ყრიან...
OHH!
END



# მნიშვნელოვანი გაკვეთილი


დაო, წყალი არ არის! მინდა, ცოტა დავლიო.
ონკანიდან კი არ მოდის.
?
SAVE THE EARTH
SOAP
NOWATER
SHAMPOO
SHOWER GEL


EMPTY
0
WATER
ჰმმ... წყალი აღარ დარჩა.
ახლახან შევავსე სადეპოზიტო ბარათი.
SAV THE
შეიძლება...
SAV


ჩემი ბრალია. ბოლოს ონკანის დაკეტვა დამავიწყდა.
ბოდიში...
არაა კარგი, მეგობარო!
მოდი, წყლის მნიშვნელობაზე ორიოდე სიტყვას გეტყვი.
წყალი ყველაფერია.
წყალი დედამიწაზე ყველა ცოცხალი არსების წყაროა.


იცი, რატომ ეძახიან დედამიწას ლურჯ პლანეტას?
არა, და რატომ?
SAVE
მისი 70% წყლითაა დაფარული.
70,8%
ამიტომ ვეძახით დედამიწას ლურჯ პლანეტას.
0,3%
ამის მიუხედავად, მტკნარი წყლის მხოლოდ 0,3% არის ხელმისაწვდომი სოფლის მეურნეობის, ინდუსტრიის, მუნიციპალური და გარემოსდაცვითი მიზნებისთვის.
SAVE


სასმელად ვარგისი მტკნარი წყალი მოდის მდინარეებიდან, ტბებიდან, მიწისქვეშა წყლებიდან,
მყინვარებიდან და წვიმიდან.
მყინვარი
ოკეანე
მდინარე
წყლის წრებრუნვის ციკლი მნიშვნელოვანი პროცესია დედამიწაზე.
მზე წყლის წრებრუნვის ციკლის მთავარი წყაროა.
წყალი, თხევად მდგომარეობაში ყოფნის შემდეგ, სიცხის გამო, ორთქლდება,
ღრუბლებად იქცევა და უკან დედამიწაზე წვიმის ან თოვლის სახით ჩამოდის.


ცხოველები.
MRRR~
მცენარეები.
უნდა გვახსოვდეს, რომ წყალი სჭირდებათ არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ სხვა ცოცხალ ორგანიზმებსაც.
უფრო მეტიც, წყალი ქმნის საცხოვრებელ გარემოს ორგანიზმებისთვის და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკოსისტემის შექმნაში.


დღეს ბევრი ადამიანი წყლის ნაკლებობის პრობლემის წინაშე დგას.
ზოგჯერ ადამიანებს დაბინძურებული წყლის გამოყენება უწევთ
რაც მათ ჯანმრთელობაზე მოქმედებს.
AFRICA
ბავშვებო, დალიეთ წყალი!
დიდი მადლობა!


წყლის დაზოგვის რამდენიმე გზა...
აბაზანის ნაცვლად, 5-10 წუთით მიიღეთ შხაპი.
კბილების გამოხეხვის დროს ონკანის დაკეტვა არ დაგავიწყდეთ.
ჭურჭლის გარეცხვა სავსე ნიჟარაშიც შეიძლება
არაა აუცილებელი, ჭურჭელი გამდინარე წყლით გავრეცხოთ.
წვიმის წყლის მოგროვებაც შეიძლება კასრებსა და რეზერვუარებში.
წვიმის წყლის გამოყენება მცენარეების მოსარწყავად შეიძლება.


წყალი სიცოცხლის ელექსირია.
ყველა ჩვენგანს შეუძლია საკუთარი დადებითი წვლილის შეტანა.
ნუ დაგავიწყდება ეს, მეგობარო.
წყალი უნდა დავზოგოთ, რადგან ყოველი წვეთი მნიშვნელოვანია.
ყველაფერი გავიგე, დაო.
ამიერიდან წყალს დავზოგავ.
ყოჩაღ, მეგობარო.

END

# პატარა წვეთსაც შეუძლია






# მსოფლიოს გადარჩენა


SHHHHH~
SLAP
SLAP
SLAP
პატარავ, რას აკეთებ? წყალი რისთვის გჭირდება?
?
არაფერი ისეთი! რადგან მშობლებს არ აინტერესებთ, რატომ აგროვებს მათი შვილი ნახმარ წყალს აივანზე.
რა დაგვმართნია?
ჭკვიანი ბავშვი! ვგონებ, შევძლებ მის დახმარებას!


შემდეგი დილა...
თქვენი მეზობელი ვარ. ნანასთვის საჩუქარი მოვიტანე.
რომელი ხართ?
KNOCK!
KNOCK!


PRESENT
აი, როგორ უნდა გაწმინდო წყალი.
coal
sand
ვაუ! ძალიან დიდი მადლობა.
SUMMER HEAT


რა განუკითხაობაა! წყალი ისევ გამორთეს!
NO WATER~
ARGH!
ARGH!
AARGH!
დიახ, აივნის ყველა ყვავილი მოკვდება, თუ არ მოვრწყავთ.
სარეცხსაც ველარ გავრეცხავ!


FSHHH~
მადლობა, ნანა!
წყალი დალიე, ყვავილო!
YIPPEE!
BLOOP!


MEOW
გაჩერდი ერთ ადგილას, კნუტო.
YIPPEE!
END

# კლიმატის ცვლილება



# კარზე მოგვდგომია


ესაა ამბავი სამ ბავშვზე:
ერთ დასა და ორ ძმაზე.
ეს ლელაა. ლელა
უფროსი დაა.
ის დიდ და ლამაზ
სახლში ცხოვრობს.
მალიან უყვარს
ყვავილები და
დიდი ბაღიც აქვს.
მაგრამ
ყვავილების
მორწყვისთვის
ტრადიციულ
მეთოდებს
იყენებს.


ეს დავითია,
შუათანა ძმა.
მასაც დიდი
სახლი აქვს,
საცურაო
აუზითა და
შადრევნებით.
ასევე გაზონი,
რომელსაც
რეგულარულად
რწყავს წყლის
დიდი
რაოდენობით.


და ესაა ელდარი - უმცროსი ძმა. ის პატარა სახლში ცხოვრობს.
მან ადგილობრივ კლიმატზე მორგებული ხილი და ბოსტნეული დათესა და წვეთოვანი მორწყვის სისტემას იყენებს.
საყოფაცხოვრებოდ მოხმარებულ წყალსაც აგროვებს და ბაღის მოსარწყავად იყენებს ხოლმე.


ეს კლიმატის ცვლილებაა. ის ახალი წესებითა და რეალობით მოვიდა.
გამარჯობა, ლელა, რას აკეთებ?
CLIMATE CHANGE
გამარჯობა, ყვავილებს ვრწყავ.
ყვავილები ძალიან ლამაზია, მაგრამ ბევრ წყალს ხარჯავ მათ მორწყვაზე.
წვეთოვანი მორწყვის შესახებ თუ გაგიგია რამე?
CLIMATE CHANGE
ყვავილების არაფერი გესმის შენ.


დავით, გამარჯობა! როგორ ხარ, რას აკეთებ?
CLIMATE CHANGE
გამარჯობა, ისეთს არაფერს, აუზს ვავსებ წყლით.
მომისმინე: წყალს საერთოდ არ ზოგავ. სჯობს, უარი თქვა დიდ საცურაო აუზებსა და შადრევნებზე.
თუ გცხელა, შეგიძლია ხანმოკლე შხაპი მიიღო და გაგრილდე.
CLIMATE
რჩევისთვის დიდი მადლობა, მაგრამ მათზე უარის თქმას არ ვაპირებ. აუზში ბანაობა ყოველთვის უფრო სასიამოვნოა.
გასაგებია, როგორც გინდა.


დროა, ამათ ჭკუა ვასწავლო. ადამიანებს ავიწყდებათ, დააფასონ ბუნების საჩუქარი.
CLIMATE CHANGE
ამათ უნდა შევახსენო, რომ წყალი სიცოცხლეა.
შემდეგი დღე...
ჩემს ყვავილებს რა დამართნიათ!!
ჩემი აუზი!!


ჩემი მცენარეები! რა უნდა ვქნა?
ცხელა, მწყურია.
BAM!
BAM!
ძმაო, დამეხმარე, მცენარეები მიჭკნება.
და წყალი არ მაქვს დასალევად.
ჩვენც გაგვიყავი.
ჰმმ?
რა თქმა უნდა, დაგეხმარებით!
წყალსაც გიწილადებთ და იმასაც გასწავლით, თუ როგორ დაზოგოთ ის.


პირველ რიგში, წვეთოვანი მორწყვის სისტემა გამოიყენე და მცენარეები საყოფაცხოვრებოდ მოხმარებული წყლით მორწყე.
სჯობს, დიდი საცურაო აუზი არ გამოიყენო და მის ნაცვლად მოკლე შხაპებით გაგრილდე.
საყოფაცხოვრებოდ მოხმარებული წყლის შენახვა კასრებსა და რეზერვუარებში შეიძლება.
ყველაფერი ეს წყლის დაზოგვაში დაგეხმარებათ.
ასე ჯობია.
CLIMATE CHANGE
END


დაფიქრდი,
სანამ წყალს
დააბინძურებ


იმედი მაქვს, ონკანს მოშვებულს არ დატოვებს...
ხოო~რა თქმა უნდა, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა...
FSSSH!


ყველაფერს ვიზამ, რომ იბრწყინო~
GRRR!
ძალიან ბევრ წყალს ხარჯავ! გადაკეტე ონკანი!
GRRR!
GRRR!
ძვირფასო, რამე თქვი?
დედი, უნდა წავიდე. ვიღაცამ ონკანი ღია დატოვა...


ერთი წამით, დე. მალე მოვბრუნდები!
SWIIISSSHHHH!!
სად მიდიხარ?! უკან დაბრუნდი!


შვილო, გთხოვ,
ონკანი გადაკეტე...
HOORAY!
HOORAY!


YIPPEE!
წყალს
ნუ ხარჯავ!
GRRR!
GRRR!
GRRR!


HELP ME!
FSSSHH!
ასე უკეთესია.
მადლობა, შვილო!
ძალიან კარგი, ძვირფასო.
ეს ჩემი მოვალეობა იყო, დედა.
დღეს მასწავლებელმა აგვიხსნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ონკანის გადაკეტვა, წყლის დაზოგვისთვის!


მან წიგნი წაგვაკითხა, სახელწოდებით „მტკვრის სკივრი“.
THE KURA BOX
ეს ბროშურა გვასწავლის, როგორ დავეხმაროთ დედა ბუნებას წყლის დაზოგვაში.
ძვირფასო, შენით ვამაყობ!
END




UNDP-GEF
KURA
2020